

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ევროპეისტიკის  
დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

კანცელარიზმების ფუნქციონირება და უნიფიცირებული  
საქმიანი დოკუმენტების თარგმანის თავისებურებები  
(ქართული და რუსული საქმიანი დოკუმენტების მიხედვით)

სპეციალობა - ლინგვისტიკა (თარგმანმცოდნეობა)

ხათუნა ხალვაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ანოტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ახვლედიანი

ბათუმი

2020 წ.

**სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბსუ-ს  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**მერაბ ახვლედიანი**

ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს  
ასოცირებული პროფესორი.

**შემფასებლები:**

**მარინე აროშიძე**

ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს  
პროფესორი.

**მაია კიკვაძე**

ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს  
პროფესორი.

**ინგა კიკვიძე**

ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის  
აკ. წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი.

**უცხოელი შემფასებელი:**

**ვალენტინა კოლესნიკი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი. ი. მეჩნიკოვის სახელობის  
ოდესის ეროვნული უნივერსიტეტის  
(უკრაინა) პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 2020 წლის 24 ნოემბერს 17 საათზე, 37 - ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილი/რუსთაველი 35/32. პირველი კორპუსი) სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე ([www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)).

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე ლინგვისტური სამეცნიერო პარადიგმა ჩამოყალიბდა როგორც ანთროპოცენტრული, რომლის ცენტრში დგას მოლაპარაკე ადამიანი (HOMO LOQUENS). ლინგვისტური კვლევები ხშირ შემთხვევაში ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს. პირველ რიგში ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ადამიანი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარების თანამედროვე დონემ განაპირობა ინფორმაციული ნაკადის მაღალი ინტენსიურობა. წარმატებული პროფესიული საქმიანობა კი მოითხოვს დიდი მოცულობის ინფორმაციის ათვისებას.

ამავდროულად, მეოცე საუკუნის ბოლოს მომხდარმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობეს ძველი პოლიტიკური სისტემებისა და იმპერიების დაშლა, საზღვრების გახსნა. საქართველო მისი წარსულის ერთიან ევროპულ სივრცეში და ამ გზაზე უკვე ბევრი წარმატება აქვს (კერძოდ, განათლების სფეროში), მაგრამ ინტენსიური კულტურული კავშირები და საქმიანი ურთიერთობები მოითხოვს ერთიან ძალისხმევას რთული და გლობალური პრობლემების გადასაჭრელად. მეცნიერებმა გაიაზრეს ეს გამოწვევები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ არსებული პრობლემის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება არის ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარება. სწორედ ამ ტიპის კვლევებს აფინანსებს ევროკავშირი. ერთ-ერთი მთავარი ადგილი ამ რთულ და მრავალფეროვან პროცესში უჭირავს ჩვენს პროექტს, „ჰორიზონტი 2020 KEAC-BSR № 734645 (ცოდნისა და აკადემიური კულტურის გაცვლა ჰუმანიტარულ სფეროში შავი ზღვის რეგიონში)“. შექმნილია სამეცნიერო კონსორციუმი, რომელიც აერთიანებს მეცნიერებს 12 ქვეყნიდან, მათ შორის, საქართველოდან წარმოდგენილია ბსუ-ს სამუშაო მკვლევართა ჯგუფი. პროექტის ფარგლებში შეისწავლება ცოდნის გაცვლა სხვადასხვა სფეროში: ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში, ეთნოკულტურის შენარჩუნებაში, ეპოქების ისტორიის გაანალიზებაში. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ლინგვისტიკის გამოყენებითი სფეროები, ისეთები,

როგორცაა: თარგმანი, თარგმნის როლი მეცნიერების განვითარებაში, კულტურათმორისი კომუნიკაციის ურთიერთობების დახვეწა და მათ შორის ერთიანი უნიფიცირებული დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა მთელს ევროპულ სივრცეში. მე მომეცა შესაძლებლობა ჩართული ვყოფილიყავი ამ პროექტში, როგორც მკვლევარი - დოქტორანტი. ჩემი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, დამევალა შემესწავლა საქართველოში საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესები და საქმიანი საბუთების თარგმნის პრობლემები.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე კულტურული მრავალფეროვნებით. საქართველო შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელსაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. სწორედ ამის გამო, ის ყოველთვის იმპერიების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, რომლებიც ცდილობდნენ მთლიანად ამიერკავკასიისა და მათ შორის, საქართველოს ხელში ჩაგდებას.

საქართველოში 80-90-იანი წლებიდან დაიწყო მასიური გამოსვლები საბჭოთა წყობილების და რუსეთის წინააღმდეგ. ერი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და მიაღწია კიდეც მიზანს. ძალიან დიდი იყო პროტესტი რუსეთის მიმართ, რომელმაც გამოიწვია ყოველივე რუსულის აკრძალვა. პოლიტიკა თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა: კულტურაში, მეცნიერებაში, სპორტში... ამას მოჰყვა სახელმწიფო სტრუქტურებში საქმისწარმოების ენის ცვლილებაც. რუსული ენა გაიდევნა ქართული საქმისწარმოებიდან და თანდათანობით დავიწყებასაც მიეცა.

ქართული ენა ხშირად განიცდიდა რომელიმე, სხვა უცხო ენისა და კულტურის გავლენას. XVIII საუკუნიდან დაწყებული XX საუკუნის 90-იან წლებამდე კი, ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული იყო რუსული ენა. აქედან გამომდინარე, ქართული საქმისწარმოების ისტორიაში, XX საუკუნის 90-იანი წლები, საკმაოდ რთულ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას, მოჰყვა ენობრივი პოლიტიკის ცვლილება - ერთი ენობრივი რელსიდან

მეორე ენობრივ რელსზე გადასვლა. ბსუ-ს არქივში არსებულ მასალებს თუ დავეყრდნობით, აღმოვაჩენთ, რომ საქართველოში 1993 წლის ჩათვლით, მაგალითად, ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა დიპლომი, ატესტატი, ორენოვანი, ჯერ კიდევ ქართულ-რუსულენოვანი დოკუმენტებს წარმოადგენენ. ხოლო დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გატარებული ენობრივი პოლიტიკის შედეგად, 1994 წლიდან 1998 წლის ჩათვლით, გვაქვს ერთენოვანი, ქართულ ენაზე შედგენილი ბსუ-ს მიერ გამოცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომები. 1999 წლიდან კი ისევ ორენოვანი, ქართულ-ინგლისურენოვანი დიპლომის ფორმები შემოდის. ეს მეტყველებს, ალბათ, იმაზე, რომ ქვეყანას, ეს პერიოდი დასჭირდა სახელწიფოდ ჩამოყალიბებისა და მსოფლიო თანამეგობრობაში გზის გაკვლევისათვის.

პოსტსაბჭოურ პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და საზოგადოებრივი პოლიტიკის შეცვლის შედეგად ორიენტაცია აღებულია საერთო ევროპულ სივრცეში შესვლასა და აქედან გამომდინარე, ოფიციალურ საბუთებში ინგლისური ენის ინტენსიურ გამოყენებაზე. სხვადასხვა პოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით საქართველოს ბევრი განსაცდელის გადატანა მოუწია. მათი დაძლევის პროცესში, ვფიქრობთ, ყურადღების მიღმა დარჩა ქართული ენობრივი პოლიტიკა. ერთიანი უნიფიცირებული პროცესისა და სისტემის არქონა, აისახა კიდევ ჩვენს დოკუმენტებზე. ამ პერიოდიდან, ტრანსლიტერაციით შემოსული ტერმინოლოგიის მოზღვავებულ რაოდენობას ენა ვერ ამუშავებს და ისინი მკვიდრდებიან ჩვენს ენაში არსებული ფორმით. ეს ხდება მაშინაც კი, როცა ენაში მოგვეპოვება მათი ქართული შესატყვისები.

ჩვენი კვლევა წარმოადგენს დიაქრონული და სინქრონული მიდგომის ერთობლიობას. დიაქრონულ ასპექტში გვინტერესებს საქმიანი საბუთების თარგმნისა და მათი წარმოების სამი ეტაპი: 1) მეფის რუსეთის პერიოდი; 2) საბჭოური პერიოდი; 3) პოსტსაბჭოური პერიოდი.

დღევანდელ დღეს, გლობალიზაციამ, საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობაში გაწევრიანებამ, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების კანცელარიზმების ფუნქციონირების და უნიფიცირებული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმნის პრობლემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერაც არ ქცეულა კომპლექსური კვლევის საგნად და შესაბამისად, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების კანცელარიზმების გამოყენების პრობლემებიც არასაკმარისადაა გამოკვლეული. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ინტერესს იწვევს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

თემის აქტუალობა: ინტენსიური კულტურული კავშირები და საქმიანი ურთიერთობები მოითხოვს ერთიან ძალისხმევას, რათა პასუხი გაეცეს დღევანდელ საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებს. ამისათვის კი საჭიროა ერთიანი უნიფიცირებული საქმისწარმოება. დღეს უპირატესობა მიენიჭა ინგლისურ ენაზე და ინგლისური ენიდან თარგმანს, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენს საქმისწარმოებაში ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმნის პრობლემები იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების პერიოდი აკავშირებდა. უნდა გვახსოვდეს ის, რომ XVIII საუკუნიდან დაწყებული XX საუკუნის 90-იან წლებამდე რუსული პოლიტიკა და ენა ბატონობდა და კარნახობდა სახელმწიფო ფუნქციონირების წესებს საქართველოში. ჩვენს რეალობაში უამრავი დოკუმენტია რუსულ ენაზე შექმნილი, რომლებიც ჩვენი დაწესებულებების, სტრუქტურების დაარსებას და განვითარებას შეეხება. ჩვენი მოსახლეობის სოციალური აქტივობებიც: სამსახურში დანიშვნა, გათავისუფლება, გადაყვანა, სხვადასხვა ცნობები და მიღწევების დამადასტურებელი საბუთების უმრავლესობაც რუსულ ენაზეა შედგენილი. ამ დოკუმენტებში ასახულია ჩვენი ქვეყნის და ხალხის ისტორია.

სწორედ ამიტომ, პარალელურად უნდა გავიღრმავოთ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული თარგმნის ნიუანსების ცოდნა და ასევე საფუძვლიანად

შევისწავლოთ ინგლისურ ენაზე და ინგლისური ენიდან თარგმნის თავისებურებანი და მოვარგოთ ახალი სისტემის უნიფიცირებულ დოკუმენტებს.

შეიძლება ხმამაღალი განცხადებაა, მაგრამ მასალაზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ერთგვარი ქაოსია მთარგმნელობით პრაქტიკაში. თარგმნისას მთარგმნელები მხოლოდ მათი კომპეტენციიდან გამომდინარე, თავისი შეხედულებისამებრ მოქმედებენ და წყვეტენ არსებულ ტიპურ პრობლემებს, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად გვხვდება. ზოგ შემთხვევაში, ერთი მთარგმნელის მიერ გადათარგმნილ საბუთში ვაწყდებით ერთი და იმავე ტერმინის ან/და კლიშეს განსხვავებულ თარგმნით ვარიანტებს.

სასიხარულო ფაქტია ის, რომ 2019 წელს, საქართველოს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიამ შეიმუშავა უცხო ენიდან ტრანსლიტერაციითა და ტრანსკრიფციით გადმოტანის ერთიანი წესები, რომლებიც დაეგზავნათ ორგანიზაციებს სახელმძღვანელოდ. ჩვენი აზრით, ეს ხელს შეუწყობს ოფიციალურ-საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის ერთმნიშვნელობიანობისა და ერთგვაროვნების შენარჩუნებას. იმედია, კომისია შეიმუშავებს რუსული ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით, ქართული ენიდან რუსულ ენაზე ტრანსლიტერაციისა და ტრანსკრიფციის ერთიან წესებსაც. ამასთანავე, ვფიქრობთ, ეს უნიფიცირების პროცესი დასრულდება ოფიციალურ-საქმიან საბუთებში გავრცელებული ტერმინების შესატყვისი ვარიანტების დადგენით, რაც ასე აუცილებელია ჩვენი საქმიანი ურთიერთობების რეგლამენტირებისას დოკუმენტების შედგენისა და თარგმნისათვის.

ყოველივე ზემოთ თქმული მეტყველებს ჩვენი თემის აქტუალობაზე.

თემის მიზანი: საქმიანი ქალაქდების დახასიათება და თარგმნის თავისებურებების ანალიზი, რომლის მისაღწევად აუცილებელი იყო შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაჭრა: 1. ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის ისტორიული განვითარების შესწავლა, საქმიანი ქალაქდების დახასიათება; 2. კანცელარიზმების (შტამპების, კლიშირებული კონსტრუქციების, გრამატიკული ფორმების)

ფუნქციონირების ანალიზი; 3. უნიფიცირების პროცესის გაშუქება; 4. საბუთების თარგმნის პრობლემების გაანალიზება;

შესწავლის ობიექტი - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, კანცელარიასა და არქივში დაცული ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი საბუთები.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებული გვაქვს: დისკურსის ანალიზი, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ორ ენაში არსებული მსგავსება-განსხვავებანი.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის ლექსიკის კომპლექსური მრავალასპექტიანი გამოკვლევა, რომელიც ფუნქციონირებს სხვადასხვა კულტურულ და ენობრივ გარემოში - ქართულ და რუსულ ენებში და მათი თარგმნის ზოგიერთი ასპექტები.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს მთელი რიგი ცნებების დაზუსტებასა და დახვეწაში ქართულ სამეცნიერო სივრცეში (დისკურსი, უნიფიცირებული საქმიანი დოკუმენტაცია, კანცელარიზმები, შტამპები, კლიშირებული ერთეულები და სხვ.). აქვე განხილულია ნაკლებად შესწავლილი ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი საბუთების თარგმნის პრობლემები.

თემის **პრაქტიკულ** ღირებულებას წარმოადგენს საქმიანი ქაღალდების თარგმნის კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობა. ნაშრომში გაანალიზებული მასალა და დასკვნები საინტერესო იქნება ლინგვისტებისთვის, მთარგმნელებისთვის, პროფესიული კადრების მომზადებისთვის. შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება მთელი რიგი დისციპლინების პრაქტიკულ მეცადინეობებზე (სოციოლინგვისტიკა, ზოგადი თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვ). ემპირიული მასალა წარმოდგენილია დანართის სახით. ჩვენ გადავწყვიტეთ აღნიშნული დანართი დაგვეჯგუფებინა პირობითად საბუთის ენისა და ტრაფარეტული ფორმის დინამიკის მიხედვით, რომელშიც ერთდროულად



თვალნათვლივ შეიძლება დავაკვირდეთ საქმიანი ენის განვითარებას, მთარგმნელობით ნიუანსებს, ამ ენისთვის დამახასიათებელი კანცელარიზმების ხვედრითი წილის თანაფარდობას ქართულ და რუსულ ტექსტებში, საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის ცვლილებას, საბუთების გაფორმებისას ფორმატის ცვლილებებს დროში. ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნება აღნიშნული დანართის პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენება თვალსაჩინოებისათვის.

## თავი I ოფიციალურ-საქმიანი დისკურსი

### 1.1. ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის რაობა

ჩვენი არსებობა წარმოუდგენელია კომუნიკაციის გარეშე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ დისკურსი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი აზრით, „დისკურსი“-ს ყველაზე ლაკონური და ამავდროულად ღრმა განმარტება ეკუთვნის ნინა არუთუნოვას, რომლის აზრით, დისკურსი არის ცხოვრებაში ჩაძირული მეტყველება („Дискурс это речь, погружённая в жизнь“) (Арутюнова, 1990:137).

სწორედაც, ცხოვრებისეული რეალიები წარმოადგენენ პრაგმატულ ასპექტებს. დისკურსი, როგორც ცხოვრებაში ჩაძირული მეტყველება, სხვადასხვანაირი გაგების და განხილვის საშუალებას იძლევა. ტერმინ „დისკურსის“ განმარტებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის აღწერს მეტყველების ხერხს და გააჩნია ორმაგი მიდგომა - როგორი? ან/და ვისი? ამის გათვალისწინებით და სოციოლინგვისტიკის მიხედვით, ვლადიმერ კარასიკი გამოყოფს დისკურსის შემდეგ სახეებს: პერსონალურს (პიროვნულზე ორიენტირებული) და ინსტიტუციურს.

ინსტიტუციური დისკურსის ერთ-ერთ საინტერესო სახეს და მიმართულებას წარმოადგენს საქმიანი დისკურსი. მას ახასიათებს ინსტიტუციური და კოგნიტურ-ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც განასხვავებს მას დისკურსის სხვა ტიპებისაგან. ის ადამიანთა მიზანმიმართული სტატუს-როლური მეტყველებაა, რომელთა საერთო ნიშანია საქმიანი ურთიერთობები. ეს არის რთული,

მრავალასპექტიანი წარმონაქმნი, რომლის შემადგენლობაში შემავალი ყოველი რგოლი შეიცავს თავის ადრესატს და ადრესანტს (ადამიანი ამა თუ იმ დისკურსულ სივრცეში ერთვება არა მარტო გარკვეული როლის გათვალისწინებით, არამედ საკუთარი მიზნებითაც), კომუნიკაციის მიზნებსა და ამოცანებს(კონკრეტული გადაწყვეტილების ან საერთო კოორდინაციული შედეგის მიღწევა), ურთიერთმოქმედების სიტუაციებს. ცნებების მკაცრი განსაზღვრა არის მისი ეფექტურობის განმსაზღვრელი. როგორც აღვნიშნეთ, საქმიანი დისკურსი გამოირჩევა სტრუქტურული და ლინგვისტური თავისებურებებით. ჭარბობს ფრაზეოლოგიზმები და კლიშეები, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიან დისკურსს ახასიათებს სიმყარე და ჩაკეტილობა, რაც გამოხატულებას ჰპოვებს მის სპეციფიკურ ფუნქციონალურ მიმართულებებში: ხელშეკრულებები, სახელმწიფო აქტები, იურიდიული კანონები, დადგენილებები, უწყებები, ინსტრუქციები, სამსახურეობრივი მიმოწერა, პირადი შემადგენლობის საქმიანი ქაღალდები და ა.შ. მრავალი ქართველი (ა. შანიძე, არ. ჩიქობავა, ნ. ბასილაია, ა. არაბული, ი. ვაშაკიძე, მ.ფაღავა, ნ. მიქელაძე, ნ. ცეცხლაძე, მ. ხახუტაიშვილი, მ. კიკვაძე, ნ. ფარტენაძე, დ. ახვლედიანი და სხვ) თუ უცხოელი მკვლევარი (А. Федоров, В. Виноградов, С. Бархударов, Д. Розенталь, О. Каменская, М. Кожина и др) გამოყოფს საქმიანი დისკურსის დოკუმენტებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ჩვენც ვეთანხმებით მათ და გთავაზობთ ამ თავისებურებების ჩვენეულ დაჯგუფებას. ჩვენ გამოვყავით საქმიანი დისკურსის ენობრივი, სტილისტური, ფორმითი თავისებურებები:

ენობრივი: 1) სალიტერატურო ენის მკაცრი დაცვა; 2) შესაბამის სფეროში დამკვიდრებული და დამახასიათებელი სახელწოდებების და ტერმინების გამოყენება; 3) ენობრივი ფორმულების სტანდარტულობა; 4) შტამპებისა და კლიშეების გამოყენების მაღალი ხვედრითი წილი; 5) შემოკლებებისა და აბრევიატურის ხშირი გამოყენება...

სტილისტური: 1) იმპერატიულობა და ვალდებულება; 2) კონკრეტულობა; 3) სიზუსტე და სიცხადე; 4) ლაკონურობა და სიმშრალე; 5) ემოციის ენობრივ

საშუალებათა მაქსიმალური შეზღუდვა; 6) ინფორმაციულობა და დასაბუთების მკაცრი ლოგიკურობა; 7) სანდოობა და ობიექტურობა...

ფორმობრივი: 1) ფორმობრივი სტანდარტულობა; 2) თარიღებისადმი ერთგულება; 3) სტატისტიკური მონაცემების ხშირი მითითება; 4) ტექსტის ოფიციალური დამოწმება...

ყოველ დისკურსს შესაბამისი სტილი ახასიათებს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი წამყვანი ფუნქცია. საკმაოდ დამაჯერებელია სტილის ფუნქციონალური ნიშან-თვისების მიხედვით დაჯგუფება და კლასიფიკაცია, რომლის ფუძემდებლად ვიქტორ ვინოგრადოვი გვევლინება. ამ კლასიფიკაციას ენის შემდგომი სამი ძირითადი თვისება დაედო საფუძვლად: ურთიერთობის (სასაუბრო სტილი), შეტყობინების (ოფიციალურ-საქმიანი და სამეცნიერო სტილი), ზემოქმედების (პუბლიცისტური და მხატვრულ სტილი).

მიუხედავად კლასიფიცირების საკმაოდ მრავალფეროვანი დაჯგუფებებისა, ჩვენთვის უფრო მისაღებია ვინოგრადოვის კლასიფიკაცია. ვინოგრადოვი ენის ფუნქციის და ენისა და მეტყველების სტილების მიხედვით გამოყოფს 6 სტილს: 1) სასაუბრო, 2) ოფიციალურ-საქმიანი, 3) საზოგადოებრივ-ინფორმაციული, 4) სამეცნიერო, 5) მხატვრული, 6) რელიგიური (Виноградов, 2001:15-17).

ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ოფიციალურ-საქმიანი სტილი წარმოადგენს ენის ერთ-ერთ ფუნქციონალურ სტილს. საქმიანი დისკურსის ტექსტების თავისებურებების განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ მათი შედგენისას გამოიყენება - ენობრივი სტილი, რომლითაც იწერება საქმიანი ქაღალდები. ის წარმოადგენს ურთიერთობის (წერილობითი/ზეპირი) საშუალებას საქმიანი დამოკიდებულებების, სამართლებრივი ურთიერთობებისა და მართვის სფეროში. მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებს, იურისპრუდენციას, ეკონომიკას, სამხედრო საქმეს, რეკლამირების სფეროს, კომუნიკაციას ოფიციალურ დაწესებულებებში, სამთავრობო მოღვაწეობას. ოფიციალურ-საქმიანი სტილის ქვესტილების კლასიფიკაციისას ვაწყდებით სხვადასხვა გადაჯგუფებას. ჩვენს მიერ

ჩატარებული კვლევა ეყრდნობა ნანა ცეცხლაძისა და მზია ხახუტაიშვილის კლასიფიკაციას. ემპირიულ მასალაში გამოვყოფთ შემდეგ ქვესტილებს: ოფიციალურ-საქმიანს (ადმინისტრაციულ-საკანცელარიო), იურიდიულს და დიპლომატიურს.

ჩვენ ვეცადეთ სხვადასხვა მკვლევრის მიერ მოცემული ოფიციალური საქმიანი დისკურსის საბუთების ნიშან-თვისებები კომპლექსურად ჩამოგვეყალიბებინა და გადაგვეწილებინა აქცენტები, მათ შორის გამოვყავით: გადმოცემის სიზუსტე - ზუსტად შერჩეული სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ასევე ზუსტად გადმოგვცემენ აზრს; ლაკონურობა - აზრის გადმოცემა მოკლედ, მკაფიოდ და სხარტად; სისწორე - სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, რომლებიც ამ დისკურსისთვის არის დამახასიათებელი; იმპერატიულობა - სავალდებულო აღსრულება ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისის გარეშე; კონკრეტულობა - რაც გულისხმობს არსებითი შინაარსის გადმოცემას; შეკუმშულობა - აზრის სრულად და ამომწურავად გადმოცემა მცირე რაოდენობის ენობრივი საშუალებებით. ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, გავცნობოდით ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის ისტორიას.

## 1.2. ქართული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის განვითარების ისტორიიდან

საქართველოში საქმიანი მიმოწერისა და საკანცელარიო დისკურსის ელემენტები ძველი დროიდანვე არსებობდა და ქვეყნის განვითარებისა და პოლიტიკური ვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო. ცნობილია, რომ ადრე საქართველოში დოკუმენტების შემდგენლებად განსწავლული მდივან-მწიგნობრები გვევლინებოდნენ, მათ „დამწერები“ ეწოდებოდათ (ჯავახიშვილი, 1926:65).

ივ. ჯავახიშვილი გვთავაზობს ძველ საქართველოში ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის საბუთების წინამორბედი დოკუმენტების ჩამონათვალს და მათ აღმნიშვნელ ტერმინებს: „დაწერილი“, „სიგელი“, „გუჯარი“, „სიგელ-გუჯარი“, „წიგნი“, „ბრძანება“, „ნიშანი“, „პიტაკი“, „იარლიყი“ ანუ „იარლუყი“, „ფირმანი“,

„დავთარი“, „ბარათი“, „არზა“, „რაცამი“, „ოქმი“, „თამასუქი“, „გარიგების წიგნი“, „დასტურლამალი“ ან მოკლედ „დასტურლამა“, „განაჩენი“, „წერილი“, „პატრუცაგი“, „რუარტაგი“, „მატიანე“, „საბუთი“, „სიგელი შეუვალობისაჲ“, „თარხნობის სიგელი“, „თარხნობის წიგნი“ და „სათარხნო წიგნი“... (ჯავახიშვილი, 1926:25-54). ზოგი მათგანი დღესაც გვხვდება და შეინარჩუნა ფუნქცია, ზოგმა კი დაკარგა თავისი დანიშნულება და საერთოდ გაქრა ქართული საქმისწარმოების სივრციდან.

ამ პერიოდის ქართულ საქმიან საბუთებში, რომლებსაც სიგელს უწოდებდნენ, უკვე ფიქსირდება მათთვის დამახასიათებელი აუცილებელი და სავალდებულო ნიშნები (რეკვიზიტები). სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, სხვადასხვა იმპერიის ზეგავლენის შედეგად: XIII - XIV საუკუნეებში მონღოლების შემოსევა და ბატონობა, XVI საუკუნის დასაწყისიდან ირანისა და ოსმალეთის იმპერიები, XVIII საუკუნიდან რუსეთის იმპერია, 1921 წლიდან გასაბჭოება და დღევანდელი სახელმწიფო სტრატეგია, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით გვხვდება სხვადასხვა ენაზე შედგენილი საბუთები, ხშირ შემთხვევებში ორენოვანი ან/და სამენოვანი. საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა ნიშნავდა სხვა ენის ათვისებას, სხვა ენაზე და სხვა ენიდან საბუთის თარგმნას. იმპერიები და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება საკმაო გავლენას ახდენდა და ახდენს საქმიანი საბუთების ენაზე, ფორმასა და შინაარსზე, ზოგადად, საქმისწარმოებაზე და თავის კვალს ტოვებენ კიდევ ქართული საქმისწარმოების ფორმირების ისტორიაში.

თუ კი გადავხედავთ ქართული საქმიანი დისკურსის დინამიკას, შევნიშნავთ, რომ ძველი დროიდანვე არსებობს ქართულ საქმიან დოკუმენტებში ამ დისკურსისათვის დამახასიათებელი ნიშნები: სპეციალური ლექსიკა, ადრესატი, ადრესანტი, თემა, თარიღი, დამოწმება, ფორმა, შინაარსი და სხვ. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით აღიარებულია, რომ ძველი ქართული საქმიანი დოკუმენტების ენა უბრალო და ხალხური იყო, რაც შემდეგ დროთა განმავლობაში გამდიდრა სხვა უცხო ენებთან კონტაქტის შედეგად შეთვისებულმა ნასესხობებმა. დღევანდელი ქართული საქმიანი დოკუმენტის ენა არის ნორმირებული

სალიტერატურო ქართული ენა. ოფიციალური საბუთების განვლილმა ისტორიულმა ეტაპებმა განაპირობა ის ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც შეიძინეს განვითარების მეტად რთულ გზაზე, ჩამოყალიბდა არსებული სახით და გვხვდება დღევანდელ დოკუმენტებში. ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებების ერთობლიობა განასხვავებს მათ სხვა დისკურსისაგან. აქვთ იმპერატიული და სავალდებულო ხასიათი, ფართოდ იყენებს კანცელარიზმებს და მისთვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას, ახასიათებს სტანდარტულობა, ლაკონურობა, სიმკაცრე და სიმშრალე, თავისებური სინტაქსური წყობა.

### **1.3. რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის განვითარების ისტორიიდან**

რუსულ ოფიციალურ-საქმიან დისკურსს საკმაოდ დიდი ტრადიცია და წარსული აქვს. ჩვენამდე მოღწეული პირველი რუსული წერილობითი დოკუმენტები მოწმობენ, რომ უკვე X საუკუნის ძველი კიევის რუსეთში იქმნებოდა ოფიციალური ქაღალდები. XV-XVI სს. საუწყებო საქმისწარმოება რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის წერის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდად არის მიჩნეული. დოკუმენტმა შეიძინა ისეთი ნიშნები, როგორცაა ტექსტური ფორმულარები, განსაზღვრული თანმიმდევრობით განლაგებული მყარი საინფორმაციო ელემენტები (რეკვიზიტები, ენობრივი ფორმულები). პეტრე პირველის 1720 წელს შემოღებული საქმისწარმოების სისტემა მიეკედლა დამოუკიდებელ ქვედანაყოფს - კანცელარიას. ამ პერიოდის ოფიციალურ-საქმიანი წერილობითი მეტყველება ივსება უცხოენოვანი ტერმინებით, რაც პეტრე პირველის რუსული საქმისწარმოების დასავლურ საქმისწარმოების ნიმუშებთან დაახლოებით აიხსნება. იქმნება „გენერალური ფორმულები“ - ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ფორმდება დოკუმენტები, სხვადასხვა ეტაპებზე ვხვდებით რიგ ახალ რეკვიზიტებს: ხელმოწერები, ჩანაწერი შეთანხმების შესახებ, სარეგისტრაციო ინდექსი და ა.შ.

საბჭოთა პერიოდის რუსეთის ისტორია დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატის და წყობის არსებით ცვლილებებთან. ოციანი წლებიდან დღის წესრიგში დადგა მათი უნიფიცირებისა და სტანდარტიზაციის საკითხი. 1926 წელს შეიქმნა

სტანდარტიზაციის კაბინეტი, რომელმაც შეიმუშავა სამსახურებრივი წერილების, ტელეგრამების, ტელეფონოგრამების, ოქმების, უწყებების და სხვა დოკუმენტთა სტანდარტები.

XX საუკუნის ბოლოს დაწყებულმა გლობალიზაციამ სრულად შეცვალა საქმიანი ურთიერთობის არა მარტო ფორმა, არამედ შინაარსიც. ეტაპობრივად იხვეწებოდა და ყალიბდებოდა არამარტო საქმისწარმოების პროცესი, არამედ თავად დოკუმენტებიც და დოკუმენტის ენაც.

ჩვენ შეგვიძლია დავაჯამოთ ქართული და რუსული საქმიანი საბუთების ისტორიული განვითარების ანალიზის შედეგები, რომლითაც დასტურდება, რომ საქმიანმა დოკუმენტებმა განვლეს ფორმირების საკმაოდ ხანგრძლივი და მსგავსი გზა. ჩვენ მივიღეთ მსგავსი შედეგიც. მაგრამ მათ შორის გამოვლენილი განსხვავებები განპირობებულია ძირითადად ენობრივ სისტემებს შორის არსებული განსხვავებებით. საქართველოს უწევდა ზოგჯერ ნებელობითი, ზოგჯერ კიდეც, და უფრო ხშირად, იძულებითი თანაარსებობა მეზობელ ან/და მომხდურ უცხოენოვან სახელმწიფოებთან, რომლებიც გავლენას ახდენდნენ საქმიანი საბუთების წარმოებასა და ფორმირებაზე. ძველმა ქართულმა ოფიციალურ-საქმიანმა საბუთების ენამ გაუძლო ამ ისტორიულ მოვლენებს და დროით მოტანილ განსაცდელებს, როგორც იყო „ოსმალობა“, „ყიზილბაშობა“, რუსეთის იმპერიის მიერ თავსმოხვეული „სრული რუსიფიკაცია“, „გასაბჭოება“. ქართულმა ენამ შეძლო და შემოგვინახა გამოთქმები, კანცელარიზმები, ფრაზეოლოგიზმები, ტერმინები, რომლებმაც შეინარჩუნეს მნიშვნელობა, დანიშნულება, ფორმა და თითქმის პირვანდელი სახით გადმოინაცვლეს ერთი საბუთიდან მეორეში.

დამწერლობის ისტორიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ წერამ, და მასთან ერთად დოკუმენტებმაც, განვითარების ხანგრძლივი და რთული პერიოდი განვლო. ამასთან დაკავშირებით ზურაბ ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობების წერილობით დაფიქსირებას, მოჰყვა განსაკუთრებული

„ენის“ ფორმირება, რომელსაც საქმიანი საბუთების ენა შეიძლება ვუწოდოთ (ჭუმბურიძე, 1983:10).

## თავი II. ტექსტი და თარგმანი

### 2.1. ტექსტის რაობა და ტექსტის ტიპოლოგია

XXI საუკუნეში, რომელიც აღიარებულია ინფორმაციულობისა და გლობალიზაციის პერიოდად, წინა პლანზე გამოვიდა საქმიანი ურთიერთობები და კონტაქტები, რამაც თავისთავად მოიტანა ოფიციალურ-საქმიანი სტილის საბუთების, ტექსტების მეტი რაოდენობით შექმნისა და თარგმნის აუცილებლობა. ჩვენ ტექსტების სამყაროში ვცხოვრობთ. გვიწევს სხვადასხვა ტექსტის წარმოთქმა და მოსმენა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ტექსტების სამეცნიერო ბაზაზე შექმნილ კლასიფიკაციას, მით უმეტეს, როცა ტექსტზე ორიენტირებული თარგმანი წარმოადგენს განსაკუთრებულ სახეობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაინტერესებს როგორც ტექსტთა ტიპოლოგია, ასევე, ამ ტიპოლოგიასთან დაკავშირებული ფუნქციონალური სტილის საკითხები.

დღეს XXI საუკუნეში ტექსტი ჰუმანიტარული მეცნიერების საყოველთაო მოცემულობას წარმოადგენს. მიხეილ ბახტინი ხაზს უსვამს ტექსტის მნიშვნელობას და განმარტავს: „ტექსტი ჰუმანიტარული დისციპლინის პირველადი (რეალური) მონაცემი და საწყისია. ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის და სხვა მეცნიერებების სფეროში მრავალმხრივი ცოდნისა და მეთოდების კონგლომერატი, ... სადაც არ არის ტექსტი, იქ არ არის არც აზროვნების და არც კვლევის საგანი“ (Бахтин, 1986:474 - 485). ირინა ალექსეევა მიიჩნევს, რომ ტექსტები და ენები განსხვავდებიან ლექსიკური, გრამატიკული, სიტყვათწარმოქმნისა და ფონეტიკური ასპექტების მიხედვით, მაგრამ ტექსტის კომუნიკაციურ ფუნქციასთან დაკავშირებით განსხვავებები არ იძებნება (Алексеева, 2004:257) და ჩვენც ვეთანხმებით მას. ამის ცოდნა აუცილებლობას წარმოადგენს ტექსტების ტრანსლატოლოგიისას.



თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევებს ტექსტის ლინგვისტიკაში. თარგმნისას ხდება სხვადასხვა ენის ტექსტების კომუნიკაციური გათანაბრება. ტექსტი არის მეტყველება, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ვერბალური კომუნიკაცია, მოსაუბრის მიერ წარმოთქმული გამონათქვამისათვის შერჩეული ენობრივი ერთეულები, რომლებსაც კრავს მოცემული ენის გრამატიკის წესებისა და კომუნიკაციის მიზნების შესაბამისად. გამონათქვამის აგება და გაგება ხდება ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით.

თარგმნის პრობლემა ძირითადად ტექსტის ანალიზის, აღქმისა და აგების პრობლემაში მდგომარეობს. ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიან აზრს, და მისი შემადგენელი ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებული და დაქვემდებარებულია მთლიანთან. აქედან გამომდინარე, ტექსტი ითვლება ერთეულად, რომლის ფარგლებშიც განიხილება ენობრივი საშუალებების კონტექსტუალური მნიშვნელობა. თარგმანში ტექსტის უმთავრესი როლის გათვალისწინებით, თეორეტიკოსები მუშაობენ ტექსტების ტიპოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მოგვცემდა გამოგვეტანა დასკვნა თარგმანის პრინციპების ან თარგმნის სპეციალური მეთოდების შესახებ, რომელშიც აისახება ორიგინალის ცალკეული ელემენტების და ფუნქციების გადმოცემის სხვადასხვა ხარისხი, მთარგმნელის, როგორც თარგმნილი ტექსტის შემქმნელის როლი და მთარგმნელთა სტრატეგიებს შორის განსხვავებები (Комиссаров, 1990:102).

მკვლევრებმა ტექსტის ნიშნებიდან ყველაზე ადრე შენიშნეს და გამოაცალკევეს მისი კომუნიკაციური ფუნქცია და თარგმნისას მის აუცილებელ შენარჩუნებაზე მიუთითებდნენ. ასევე გარდაუვალი დანაკარგის შეფასებისას, უპირატესობა ენიჭება მთელის შენარჩუნებას. ეს ნიშნავს, ტექსტის გლობალური არსის გადმოცემის უზრუნველსაყოფად მისი ნაკლებად არსებითი დეტალების უგულებელყოფას. ტექსტების კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანია ის ფუნქცია, რომელსაც ენა ასრულებს მოცემულ ტექსტში. ტექსტთა ტიპოლოგიის სქემის შემუშავება პირველად სცადა

ფსიქოლოგმა ბიულერმა და მას საფუძვლად დაუდო სამეტყველო კონტექსტში მონაწილე სამი კომპონენტის იდეა: მოლაპარაკე, მსმენელი და გადასაცემი შეტყობინება. ბიულერი ამ სქემას უკავშირებს ენის სამ ძირითად ფუნქციას: პრეზენტაციის (ენა გამოყენებულია ინფორმაციის გადასაცემად), ექსპრესიულსა (სუბიექტის ემოციათა ასახვა) და აპელაციურს (მიზანმიმართება კომუნიკანტზე, სათანადო რეაქციის გამოსაწვევად).

ოტო კადეს აზრით, ტექსტების კლასიფიცირებისას „ტექსტების ჟანრების“ ფართო სკალას ტექსტის შინაარსი, დანიშნულება და ფორმა განსაზღვრავს. ეს მრავალფეროვნება აფიქრებინებს მას ზემოთ მოცემული ყველა ჟანრის ტექსტის თარგმნისათვის ერთიანი სქემის და მოდელის არსებობის შეუძლებლობაზე. კადე ხაზს უსვამს პრაგმატულ და ლიტერატურულ ტექსტებს შორის თვისობრივ განსხვავებებს და იუმპელტთან ერთად განიხილავს სხვადასხვა კლასიფიკაციის შექმნის მცდელობებს. ა.ფიოდოროვი, 1953 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „თარგმნის ზოგადი და კერძო თეორიის საფუძვლები“, თარგმნის თავისებურებებიდან გამომდინარე გამოყოფდა: 1) საინფორმაციო, დოკუმენტურ და სამეცნიერო ტექსტებს, 2) საზოგადოებრივ პოლიტიკურ ტექსტებს, 3) (მხატვრულ) ლიტერატურულ ტექსტებს. ტექსტის კომუნიკაციური ფუნქციის მიხედვით, ოფიციალურ-საქმიანი ტექსტები მიაკუთვნეს ინფორმაციული ტექსტების ტიპს, რომელიც თავის მხრივ პრაგმატული ტექსტების ჯგუფში ერთიანდება. პრაგმატულ ტექსტებში ენა კომუნიკაციის და შეტყობინების გადაცემის ხერხია (Федоров, 2002:227-228).

ალექსეევა ტექსტების კლასიფიკაციის შედეგისას ხაზს უსვამს ისეთი ბაზური ცნების შემოღებასა და გათვალისწინებას, როგორცაა ინფორმაციის სახეობა: 1) კოგნიტური ინფორმაცია, 2) ოპერატიული ინფორმაცია, 3) ემოციური ინფორმაცია, 4) ესთეტიური ინფორმაცია (Алексеева, 2004: 242-247). კომისაროვი კომუნიკაციის ერთეულად გამონათქვამს მიიჩნევს. მისი აზრით, თარგმნის უპირველესი ამოცანა კომუნიკაციის ფუნქციის შენარჩუნებაა და გენერირების

ობიექტური პირობების გათვალისწინებით, ორივე ტექსტს, წყარო და სამიზნე ტექსტებს მიიჩნევს თანაბარ ტექსტებად (Комиссаров, 1990:36).

მრავალი გამოჩენილი მკვლევრის აზრის გათვალისწინებით, ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ თარგმნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყარო და სამიზნე ტექსტების კომუნიკაციური ფუნქციის შენარჩუნებას. სწორედ ის არის შინაარსის კომპონენტების სპეციფიკის განმსაზღვრელი. ამ კომპონენტების სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით გაფორმებას და თარგმნას კი განსაზღვრავს სწორედ ფუნქციური დომინანტის შემადგენლობა. ფუნქციური დომინანტის ადეკვატური თარგმანი არის ეკვივალენტური თარგმანის საფუძველი. ტექსტების ტიპოლოგიის შექმნა უკვე მიიჩნევა არა მხოლოდ გონივრულ ნაბიჯად, არამედ აუცილებელიც კია თარგმნის ადეკვატურობის მოთხოვნებისა და თარგმნის შეფასების დასაბუთებული კვლევისათვის. აქამდე არსებული ტექსტების კლასიფიცირების მცდელობები უშედეგო გამოდგა ერთიანი კონცეფციისა და მათი გამიჯვნის არგუმენტების არ არსებობის გამო.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩვენ გვაინტერესებს ოფიციალურ-საქმიანი სტილის საბუთების ტექსტები. ვეთანხმებით ოფიციალურ-საქმიანი ენის შესახებ მეცნიერულ კვლევებში გამოთქმულ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ის შედარებით დახურულ ქვესისტემას წარმოადგენს, გარკვეული ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით. ეს თავისებურებები განპირობებულია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, რომლებიც გამომდინარეობს მოცემული სამეტყველო ურთიერთობის სპეციფიკური სფეროს მიზანმიმართულებით, თავისებურებებით და ამოცანებით.

ოფიციალურ-საქმიანი საბუთების ტექსტებისათვის უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებად და განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ: ნორმირებული სალიტერატურო ენის გამოყენება და დაცვა, იმპერატიული ხასიათი, ობიექტური, სანდო, სრული ინფორმაციის მაქსიმალურად მოკლედ, კონკრეტულად, ზუსტად, დასაბუთებულად და ამომწურავად გადმოცემა, რაც გამორიცხავს

გამეორებას და ტექსტის ორმაგი გაგების შესაძლებლობას. საქმიანი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია სახელწოდებების და ტერმინების, კანცელარიზმების, აბრევიატურების და სიტყვათშემოკლებების გამოყენების მაღალი ხვედრითი წილი, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიანი ტექსტები გამოირჩევა სიმყარით და ჩაკეტილობით, ფორმობრივი სტანდარტულობით და მრავალი სხვა. ოფიციალურ-საქმიანი ტექსტი უნდა პასუხობდეს თავის დანიშნულებას: გააჩნდეს იურიდიული ძალა, სტრუქტურა და ექვემდებარებოდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დამუშავებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პოლიკულტურულ სივრცეში და ტექსტების თეზაურუსი მრავალენოვანია, უფრო მოთხოვნადი ხდება მათი თარგმანი. საუკუნეების მანძილზე თარგმანს სოციალურ-კულტურული და საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება. იგი ცივილიზაციის თანამგზავრად მიიჩნევა.

## **2.2. ტრანსლატოლოგია, როგორც ტექსტზე ორიენტირებული თარგმანი**

თარგმნის აუცილებლობა განაპირობა ადამიანების სხვადასხვა ენებზე საუბარმა. არსებობს აზრი, რომ თარგმანი ნიშნავს ტექსტის ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანას. სინამდვილეში ამ პროცესში ერთმანეთს ხვდებიან სხვადასხვა კულტურები, ლიტერატურა, მსოფლმხედველობა, ადათ-წესები, ტრადიციები, ეპოქები, ადამიანები. თარგმანით დაინტერესებულნი არიან კულტუროლოგები, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ენათმეცნიერები და სხვა მეცნიერებების წარმომადგენლები და ის განიხილება ამ მეცნიერებების დაინტერესების ჭრილში. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაინტერესდა ენათმეცნიერება თარგმანით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თარგმანის ლინგვისტურმა თეორიამ თანამედროვე ენათმეცნიერებაში მთავარი ადგილი დაიკავა (Комиссаров, 1999:11).

თარგმანმცოდნეობა მოიცავს თარგმნის პროცესს მთელი თავისი მრავალფეროვნებით და მის დანიშნულებას ხარისხიანი თარგმანი წარმოადგენს. თარგმნის პრაქტიკა წინ უსწრებდა თარგმნის თეორიას. მეორე მსოფლიო ომის

შემდეგ, ინფორმაციული ტექსტების მთარგმნელობითი ბუმის პირობებში, ადამიანები თავიანთ შეცდომებზე ეუფლებოდნენ თარგმნის ტექნიკას. თარგმნის პროცესის სწორი წარმართვისათვის ტექსტების პირველი ტრანსლატოლოგიური კლასიფიკაციის შედგენის მცდელობა ეკუთვნის გერმანელ ლინგვისტს კატარინა რაისს, რომელიც მიუთითებდა თარგმნისა და ტექსტის ურთიერთობაზე: „უმთავრესად გვეჩვენება თარგმნის „ჩვეულებრივი შემთხვევის“ შესწავლა, რაც გულისხმობს დანაკარგის, დამატების და დამახინჯების გარეშე ორიგინალის „გადასხმას“ სხვა ენის ფორმაში, ისე, რომ მივიღოთ საწყისის ეკვივალენტი ტექსტი. ამ „ჩვეულებრივ“ შემთხვევაში, სწორედ ტექსტის ტიპი გვკარნახობს, თუ როგორ უნდა გადავთარგმნოთ. სწორედ ტექსტის ტიპი განსაზღვრავს თარგმნის საშუალებების შერჩევას“ (Pañc, 1978:202).

რაისი აკრიტიკებდა თარგმნის მანამდე არსებულ კლასიფიკაციებს, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ სწორედ ტექსტის ტიპები განსაზღვრავენ თარგმნის მეთოდს. აქედან გამომდინარე, ის აცნობიერებს ტექსტის ტიპსა და თარგმნის მეთოდებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობას და 1970-იანი წლების დასაწყისში ტექსტების კომუნიკაციური მიდგომებისა და ამავდროულად ტექსტებით გადმოცემული ინფორმაციის, წყაროსა და მიმღების (რეციპიენტის) თავისებურებების გათვალისწინებით გვთავაზობს ოთხ ჯგუფს: 1) ინფორმაციულ ტექსტებს, 2) ექსპრესიულ ტექსტებს, 3) ოპერატიულ ტექსტებს, 4) აუდიომედიალურ ტექსტებს. ეს კლასიფიკაცია დაედო საფუძვლად 1999 წელს თარგმანმცოდნეობის ჯგუფის მიერ შედგენილ გამდიდრებულ და შეცვლილ კლასიფიკაციას: 1) ინფორმაციული (სამომხმარებლო ) ტექსტები, 2) აპელაციური ტექსტები; 3) ექსპრესიული ტექსტები. ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნდა პასუხობდეს ინფორმაციულ ტექსტთა თარგმანი, მდგომარეობს აზრობრივ სიზუსტეში, დენოტაციური პლანის ინვარიანტულობაში. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციულ ტექსტთა ყოველ სახეს უდავოდ გააჩნია თავისი სპეციფიკა, მათთვის საერთო თარგმნითი ნორმებია: შინაარსის უდანაკარგოდ შენარჩუნება, ინფორმაციის

უტყუარობა და ენობრივი გამოხატვის ისეთ ფორმათა აქტივიზაცია, რომლებიც მხოლოდ ცალსახად შეიძლება იქნენ დეკოდირებული და არ უნდა შეიცავდნენ განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს. მართალია, ბევრი საერთო აქვთ პრაგმატულ ტექსტებს, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა დოკუმენტი ითარგმნება - იურიდიული, ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული თუ სამეცნიერო.

ოფიციალურ-საქმიანი საბუთების თარგმნისას იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად, იურიდიული და საკანონმდებლო დოკუმენტები მოითხოვენ ავთენტურ თარგმანს. ზოგჯერ კიდევ, საკმარისია საქმიანი საბუთების ადეკვატური თარგმანი, რომელიც უზრუნველყოფს თარგმანში პრაგმატული ამოცანების შენარჩუნებას მაქსიმალურად შესაძლებელი ეკვივალენტობის დონეზე და ამ მიზნის მიღწევისას ყველა ნორმისა და უზუსის დაცვას. ადეკვატური თარგმანი მოითხოვს: 1) შინაარსის მაქსიმალურ გადმოცემას, 2) ფორმის შენარჩუნებას, 3) ემოცია-ექსპრესიის გადმოტანას.

ოფიციალურ საქმიანი ტექსტები მთლიანად ორიენტირებულია ტექსტის შინაარსის გადაცემაზე. მთარგმნელმა უნდა შეარჩიოს ისეთი სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფს შინაარსის შენარჩუნებას. მათი ფორმა ხშირად სტერეოტიპულია. მიმართვა, გადმოცემის თანმიმდევრობა, დოკუმენტის დაბოლოება ყველა ენაში ემყარება რიტორიკის მკაცრ წესებს. ჭარბობს ენობრივი შტამპები. თარგმანში უნდა შენარჩუნდეს ორიგინალის კომპოზიცია. ენობრივი შტამპები შეიძლება განსხვავდებოდეს შინაგანი ფორმით, შინაარსის თანხვედრით. უმთავრესი პირობა საქმიანი საბუთების თარგმნისას არის ის, რომ მთარგმნელს მოეთხოვება საქმიანი დოკუმენტაციის თავისებურებების და მასთან დაკავშირებული სხვა უნარ-ჩვევების ცოდნა.

### **თავი III. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი**

#### **კანცელარიზმების თარგმნის პრობლემები**

##### **3.1. კლიშეს, შტამპის, შაბლონის თარგმნის პრობლემები**

კანცელარიზმები ისეთი შაბლონები, კლიშეები და შტამპები, აბრევიატურები და სიტყვათაშეთანხმებები, გრამატიკული ფორმები, გამოთქმები და კონსტრუქციები, ემოციასა და ექსპრესიას მოკლებული სიტყვები და ტერმინებია, რომლებიც ძირითადად ოფიციალურ-საქმიან სტილს ემსახურებიან და რომლებიც არ/ან შეზღუდულად გამოიყენებიან სხვა სტილის ლექსიკაში. ირინა გოლუბი კანცელარიზმებს შემდეგნაირად განმარტავს: „ოფიციალურ-საქმიანი სტილის ელემენტების, მისთვის უცხო კონტექსტში გამოყენებას - კანცელარიზმები ეწოდება. ისინი კანცელარიზმებად იწოდებიან, მხოლოდ მაშინ, როცა გვხვდებიან არა ოფიციალურ-საქმიანი სტილის მეტყველებაში“ (Голицын, 1997:117).

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ ცხადყო, რომ ყველა მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს ამ მყარი ენობრივი ერთეულების გავრცელებასა და სიჭარბეს საქმიან დისკურსში. ოფიციალურ-საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების თარგმნისას ზოგადი მთარგმნელობითი პრობლემების გარდა თავს იჩენს ამ სტილისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები. მთარგმნელი უნდა იცნობდეს საქმიანი დოკუმენტაციის თავისებურებებს და ფლობდეს საქმიანი საბუთების შედგენის უნარ-ჩვევებს. ქართული საბუთებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების დიდი ნაწილი რუსული კანცელარიზმების კალკს წარმოადგენს. მათი სიჭარბე მეტყველებაში საქმიან დისკურსზე მიუთითებს და მოცემული სამეტყველო სიტუაციის დაკვეთას ამომწურავად ასრულებს. ჩვენ, მარტივი თარგმნითი ოპერაციის შესრულებით, წყარო ენის ენობრივი ნიშნების, მიმღები ენის ენობრივი ნიშნებით ჩანაცვლებით, ვღებულობთ აზრობრივადაც და ფორმითაც ეკვივალენტურ ერთეულებს. სწორედ ამით აიხსნება მათი სიუხვე წყარო და სამიზნე ტექსტებში. მაგალითად:

<i>რუსულ საბუთებში არსებული კლიშირებული ფორმები</i>	<i>ქართულ საბუთებში არსებული კლიშირებული ფორმები</i>
<i>Справка выдана в том, что ...</i>	<i>ცნობა მიეცა მასზედ, რომ ...</i>
<i>Справка выдана для предъявления по</i>	<i>ცნობა გაცემულია საჭიროებისამებრ</i>

<i>месту требования.</i>	<i>წარსადგენად.</i>
<i>Настоящее удостоверение выдано в том, что...</i>	<i>მოწმობა ეძლევა დასტურად იმისა, რომ...</i>
<i>Настоящий диплом выдан ----- в том, что...</i>	<i>ეს დიპლომი მიეცა ----- მასზედ, რომ...</i>
<i>Присвоена квалификация...</i>	<i>მიენიჭა კვალიფიკაცია....</i>
<i>Характеристика выдана для предъявления по месту требования.</i>	<i>დახასიათება ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.</i>
<i>Трудовые книжки изготавлиются по единому образцу.</i>	<i>შრომის წიგნაკები მზადდება ერთიანი ნიმუშის მიხედვით.</i>
<i>предложение принято большинством голосов.</i>	<i>წინადადება მიღებულია ხმათა უმრავლესობით.</i>
<i>возмещает вред, причиненный при исполнении трудовых обязанностей</i>	<i>ანაზღაურებს შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებულ ზიანს</i>

საქმიან დოკუმენტებს კანცელარიულ შეფერილობას აძლევენ სახელად ქცეული ზმნები, სახელზმნები: დამტკიცება, გადაყვანა, გამგზავრება, გათავისუფლება, დანიშვნა... მიმღებობები: მოწვეული, დასაქმებული, გათავისუფლებული, დანიშნული... თუკი ქართულ საბუთებში მოცემული იმპერატიულობა გამოიხატება ძირითადად ზმნის ფორმებით: დაინიშნოს, გათავისუფლდეს, დამტკიცდეს, დამტკიცებულ იქნას, მივლინებულ იქნას... რუსულ ენაში ამ იმპერატიულობის გადმოსაცემად გამოიყენება, ინფინიტივი: обсудить, назначить, освободить, утвердить..., ან რთული ფორმები ინფინიტივის მონაწილეობით: будут проходить, будут обсуждаться, будут уволены, обязан выполнить, обязаны практиковать, должны подчиняться... პირიანი ზმნები: приказываю, награждаю, приводит... მიმღებობები: назначен, уволен, утвержден, освобожден, выдан... ორივე ენაში, გრამატიკული ფორმების სიმრავლით აიხსნება მოცემული მთარგმნელობითი გრამატიკული ტრანსფორმაციები, რომელსაც მიმართავენ რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული საბუთების თარგმნისას.

თანამედროვე საბუთების ტრაფარეტის თარგმნისას შეინიშნება ვარიაციები, რაც ყოვლად დაუშვებელია:



<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	<i>ატესტატი ძირითადი ზოგადი განათლების შესახებ</i>
<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	<i>საშუალო (სრული) ზოგადი განათლების ატესტატი</i>
<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	<i>საშუალო ზოგადი განათლების ატესტატი</i>
<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	<i>ატესტატი საშუალო ზოგადი განათლების შესახებ</i>
<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	<i>ზოგადი საშუალო განათლების ატესტატი</i>

გაურკვეველია, 2019 წლის დოკუმენტის თარგმნისას, რატომ იყენებს მთარგმნელი რუსული ტერმინის округ გადასათარგმნად, საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ ბარბარიზმს - ოკრუგდ, როცა თანამედროვე ქართულ საქმიან დისკურსში გვაქვს შესატყვისი ოლქი და თავისუფლად შეიძლება მისი, ამ ტერმინით ჩანაცვლება.

<i>Государственное образовательное учреждение Центр образования ---- Южного административного округа г. Москвы.</i>	<i>მოსკოვის სამხრეთის ადმინისტრაციული <u>ოკრუგის</u> სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება განათლების ცენტრი.</i>
---	--

მზა, ტრაფარეტული ფორმების გამოყენება, დროის ეკონომიის, ფორმისა და შინაარსის შენარჩუნების საწინდარია. დოკუმენტის გამართული შედგენა, მისი სწორად გაგებისა და ადეკვატური თარგმანის წინაპირობას წარმოადგენს. დოკუმენტების უნიფიცირება ინვარიანტების არსებობას და ორჭოფობას გამორიცხავს. საქმიანი დისკურსის ანალიზმა ცხადყო, რომ ამ სფეროში ადეკვატური თარგმანი მოითხოვს საქმიანი დისკურსისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების: შტამპების, კლიშეების, შაბლონის, მარაგის სრულყოფილად ფლობას დედანსა და მიმღებ ენაში.

### 3.2. აბრევიატურების თარგმნის პრობლემები

თანამედროვე ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის მნიშვნელოვანი ტენდენციაა სიტყვათშემოკლებები, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების ტემპით არის განპირობებული. რთულ მრავალსიტყვიან სახელწოდებათა ნაცვლად გამოიყენება აბრევიატურები, რომლებიც პირველად ლათინური ანბანის მქონე ქვეყნებში იქნა შემოღებული. მათ გავრცელებას ხელს უწყობდა დიდი ასოების არსებობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იყო ინიციალური წესით გაფორმებული აბრევიატურის ვიზუალურად გამოკვეთა და ასევე, ევროპულ ენათა ასოების, ძირითადად ხმოვნებზე დამთავრებული სახელწოდებები, რომლებიც წარმოთქმისას, მათ კეთილხმოვნებას უზრუნველყოფდა. აბრევიატურები XX საუკუნის დასაწყისში შემოვიდა რუსულ ენაში, რასაც, შესაბამისად, მათი ქართულ ენასა და საქმისწარმოებაში დამკვიდრებაც მოჰყვა.

ლინგვისტების ნაწილი მართებულად მიიჩნევს ტერმინების: „აბრევიაცი“-ის, „აბრევიატურ“-ის და „შემოკლებ“-ის დეფინიციების გათანაბრების ტენდენციას, იქიდან გამომდინარე, რომ „აბრევიაცია“ სიტყვის შემოკლების ან/და შეკვეცის პროცესია, ხოლო „აბრევიატურა“ ამ პროცესის შედეგი. ა.არაბული ხაზს უსვამს სიტყვათშემოკლებისა და აბრევიატურის ერთმნიშვნელობიანობას და დასძენს, რომ ისინი გამოიყენებიან შემოკლების ისეთი ფორმების აღსანიშნად, როცა რაიმე მყარი დასახელების (სახელწოდების) კომპონენტი სიტყვები მოკლდებიან, ერთ კომპონენტად ყალიბდებიან და შემოკლებულ „სიტყვად“ გადაიქცევიან“(არაბული, 2004:132). სიტყვათა არასწორი შეკვეცა და მათი დარღვეული ჟღერადობა ანაგვიანებენ ენას, ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს აბრევიატურების შედგენის და გამოყენების დროს.

ორი ან/და მეტი სახელის შემოკლების ტენდენცია ქართულ ენაში რუსული ენის გავლენით გავრცელდა და მათი ჩაწერისას ადგილის და დროის ეკონომიის შესაძლებლობა, დაედო საფუძვლად მათ ფართოდ გამოყენებას, აღნიშნავს აკ. შანიძე (შანიძე, 1980:158-159).

არსებული საკითხის შესწავლისას გავეცანით ქართველი და რუსი ენათმეცნიერების მიერ (შანიძე, ჩიქობავა, არაბული, ვინოგრადოვი, ბარხუდაროვი, ისტრინა, იგნატოვა, ლივშიცი, როზენტალი, გოლუბი და სხვა) ჩამოყალიბებულ აბრევიატურათა და სიტყვათშემოკლებათა შედგენის წესებს. სხვადასხვა კლასიფიკაციების გაანალიზების საფუძველზე წარმოვადგენთ, ჩვენ მიერ დაჯგუფებულ აბრევიატურათა კლასიფიკაციას: 1) სიტყვის დასაწყისი ნაწილების შეერთება: Проф/ком, პროფ/კომ/ი, აღმას/კომ/ი, რაი/კომ/ი, рай/ком, парт/груп/орг, 2) პირველი სიტყვის შემოკლებული ნაწილის და მეორე სიტყვის სრულად შეერთება: პედ/ინსტიტუტი, пед/институт, პარტ/ბიურო, парт/бюро, 3) შემოკლება, რომლის პირველი წევრი ფუძეა, დანარჩენი კი ფუძის შემადგენელი ნაწილი: წევრ/კორ/ი, 4) შერეული შემოკლებების, რომელშიც ფუძის ნაწილი და თავკიდური ბგერები შეერთებულია: Мин/в/у/з, 5) ინიციალური: ა) ბგერითი წარმოშობის: в/т/у/з), ბაბბი, ს/კ/კ/პ ბ) ასოთა დასახელებების: ბ/ს/უ, В/Г/У, К/П/С/С...

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი აბრევიატურები და სიტყვათშემოკლებები, მაინც საკმაოდ ხშირად ვხვდებით მათ საქმიან დისკურსში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი რუსულის კალკას წარმოადგენენ და წერისას დროის და ადგილის ეკონომიის მიზნით გამოიყენებიან. ამის თვალსაჩინო მაგალითებია:

რუსულ საბუთებში არსებული აბრევიატურები და სიტყვათშემოკლებები	ქართულ საბუთებში არსებული აბრევიატურები და სიტყვათშემოკლებები
Чл. корр. АН ГССР, профессор,	საქ.მეცნ.აკად.წ/კ.პროფ.,
ГПИ им.В.И.Ленина,	ვ. ი. ლენინის სახელობის სპი,
Д.и.н.,	ისტ.მეცნ.დოქტ.,
на ФПКП,	უმალღესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამალღების ფაკულტეტზე,
Декан ПК преподавателей вузов,	უმალღესი სასწავლ. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამალღების ფაკულტეტის დეკანი,

<i>ВНИЭКИСП,</i>	<i>სუბტროპიკული ნაყოფის მენახვისა და გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტალურ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი.</i>
<i>К. с/х наук,</i>	<i>ს.მ. მ.კ.</i>
<i>ВУЗ,</i>	<i>უსდ,</i>
<i>ф. и. о.</i>	<i>ს.გ.მ.,</i>

მასალის შესწავლისას დავაფიქსირეთ აბრევიატურების მართლწერასთან დაკავშირებული ხარვეზები. საბუთებში კონკრეტული აბრევიატურებისა და სიტყვათშემოკლების ვარიანტული ჩანაწერი ფიქსირდება. წერისას პარალელურად გამოიყენება მართებული და მცდარი ფორმები. მაგალითად, აბრევიატურების და გრაფიკული შემოკლებების *ВУЗ, зав. кафедрой, и.о., ф.и.о., დაწერის ვარიანტებთან ერთად, რომელიც მართებულ ჩანაწერს წარმოადგენენ, გვხვდება პარალელურად მცდარი ჩაწერის ფორმებიც ВУЗ, зав. каф, нач. Планово-Эконом. отдела, И/О, ИО და ФИО.* ეს მიუთითებს დოკუმენტების ენის უნიფიცირების უგულებელყოფაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ მათი სწორად ჩაწერისათვის უნდა დავიცვათ მართლწერის წესები: აბრევიატურა იწერება წერტილების, ტირეების და ბრჭყალების გარეშე. ხოლო გრაფიკული შემოკლება წერტილებით.

აბრევიატურების გაშიფრვისა და თარგმნისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რას წარმოადგენენ ისინი. თარგმნისას მიმღებ ენაში მივმართავთ მათ აღიარებულ მყარ შესატყვისებს. შესატყვისების არ არსებობისას ვიყენებთ ტრანსკრიფციის ხერხს, ან საჭიროა აბრევიატურის მნიშვნელობის განმარტება სამიზნე ტექსტში, რაც საკმაოდ შრომატევადია განსაკუთრებით მაშინ, როცა არც ერთ ლექსიკონში არ ფიქსირდება მათი მნიშვნელობა. აბრევიატურები, ზოგჯერ, თარგმნისა და ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიფციის გარეშე მკვიდრდებიან მიმღებ ენაში, როგორც ე.წ. საერთაშორისო აბრევიატურები.

ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად განახლების პროცესშია. ის სოციალური ცვლილებების ანარეკლია და სწორედ ეს განაპირობებს ენის ლექსიკური მარაგის ძალიან სწრაფ ცვლილებას. არსებული ტემპებიდან გამომდინარე დღევანდელი ნეოლოგიზმი, ხვალ შეიძლება არქაიზმად იქცეს. ის რაც ხშირად მოხმარებადი იყო წლების წინ, დღეს საერთოდ დავიწყებული და ამოღებულია ხმარებიდან. ეს ჩვენი მაგალითებითაც დასტურდება. მასალაზე მუშაობისას სირთულეს წარმოადგენდა ძველ დოკუმენტებში არსებული აბრევიატურების გაშიფრვა. ერთ-ერთ რუსულენოვან საბუთში თითქმის სრულად, წინადადება გადმოცემულია სიტყვათშემოკლებითა და აბრევიატურებით - зав. лабораторией ПВТСО Минвуза ГССР. აქედან აბრევიატურა ПВТСО ჩვენთვის დღემდე უცნობია, რადგან გადაინაცვლა არქაიზმების რიგში და არ არის დაფიქსირებული ლექსიკონებში. შესაბამისად ვერ მოვიძიეთ მისი განმარტება.

ეს ფაქტიც ამტკიცებს ჩვენი კვლევის აქტუალურობას იმასთან დაკავშირებით, რომ შესწავლილი უნდა იქნას ქართულ-რუსული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმები, მათი თარგმანის თავისებურებები და მართლწერის წესები. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კვლევა გამოადგებათ საქმისწარმოებაში დასაქმებულ პერსონალს და მთარგმნელებს, ტექსტების შინაარსის სწორად გაგებასა და მათ ადეკვატურ თარგმანაში.

### **3.3. ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემები**

„ტერმინი (ლათ. terminus) ჰქვია სიტყვას (და სიტყვათა შეკავშირებას), რომელიც აღნიშნავს რაიმე ცნებას ცოდნის სხვადასხვა დარგში. ტერმინოლოგია გულისხმობს ამა თუ იმ დარგში ხმარებულ ტერმინთა ერთობლიობას“ (კვაჭაძე, 1993:35). მართლაც, ტერმინებს არ გააჩნიათ კონოტაცია, სინონიმები, არსებობენ კონტექსტიდან დამოუკიდებლად და გამოირჩევიან ერთმნიშვნელობიანობით.

ნებისმიერ სტილს თავისებური ტერმინოლოგია ახასიათებს. ოფიციალურ-საქმიან ტექსტებს სხვა ტექსტებისაგან შემადგენელი ლექსიკა, დამახასიათებელი კანცელარიზმების, სპეციალური ტერმინოლოგიის, მყარი შესატყვისების გამოყენების

მაღალი ხვედრითი წილი გამოარჩევს. ტერმინოლოგია სხვადასხვა ხერხებით წარმოიქმნება: ენა, ან საკუთარ მარაგში ეძებს შესატყვისს და ისე აწარმოებს მას ან/და ის, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი დღევანდელი საზოგადოებისათვის, უცხო სიტყვები განუკითხავად შემოედინებიან და მკვიდრდებიან ენაში, მაშინ როცა თავისუფლად შეიძლება საკუთარ ლექსიკურ ფონდში დაიძებნოს შესატყვისი ტერმინები.

ემპირიული მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში დიდი რაოდენობით გვხვდება ლათინური და ბერძნული წარმოშობის ტერმინები, რომელიც რუსული ენის გავლენით დამკვიდრდა ქართულ ენაში. სწორედ, რუსული ენის გავლენის შედეგია, ქართულში დაფიქსირებული - „ია“ დაბოლოებები, დედანში არსებული დაბოლოება - „io“ - ს ნაცვლად. (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი) <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

ქართულ ენაში არსებული ტერმინები	ტერმინების წარმომავლობა
ევოლუცია	ლათინური evolutio
კომისია	ლათინური commissio
კლასიფიკაცია	ლათინური classificatio

ამავე პერიოდში, ხშირად გვხვდება საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ტერმინების ქართულ ენაში სხვადასხვა ხერხით გადმოტანის შემთხვევები. ასე მაგალითად, საინტერესოა ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში ხსენებული სიტყვა „ბუხჰალტერი“-ს ისტორია. გერმანული ტერმინი „Buchhalter“ - Buch „წიგნი“ და halter „მფლობელი“, რუსულ ენაში დამკვიდრდა პეტრე პირველის დროიდან „бухгалтер“, რომელიც რუსული ენის გავლით შემოვიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების ენებში. იმ პერიოდის ქართულ დოკუმენტებში დაფიქსირებულია შესაბამისად ტერმინი „ბუხჰალტერი“. მოცემული ტერმინი წარმოადგენს რუსული ენის გრამატიკული ფორმის ზუსტ კოპირებას. იქედან გამომდინარე, რომ რუსულ ზეპირმეტყველებაში ეს სიტყვა წარმოითქმება,



საბჭოთა პერიოდის დოკუმენტების ტერმინოლოგია და მათი თარგმანი უფრო მდგრადი იყო. თარგმნისას ის ითარგმნებოდა შესაბამისი ერთი და იმავე ტერმინით და შესიტყვებით. მათი თარგმნისას განსხვავებული ვარიაციები არ შეგვინიშნავს. გვაქვს სტანდარტული საბჭოთა შაბლონები სტანდარტული ტერმინოლოგიით, სტანდარტული სტრუქტურული წყობით და თარგმანით. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ორენოვანი ხელწერების არსებობა, ანუ ქართულ დოკუმენტებზე ქართულად აწერდნენ ხელს, უცხოენოვან დოკუმენტებზე - შესაბამის ენაზე. ესეც განასხვავებს მათ თანამედროვე დოკუმენტებისაგან.

დედანში დაშვებული შეცდომები, თარგმანშიც შესაბამისად შეცდომებს გვაძლევს. სწორი და ადეკვატური ტრანსფორმაციის მიღწევის უმთავრესი წინაპირობა გამართული დედნის არსებობაა. საქმიანი საბუთების თარგმნისას, მიმღები ენის ფლობასთან ერთად, ასევე აუცილებელია საქმიანი დოკუმენტაციის თავისებურებების და მათი შედგენის უნარ-ჩვევების ცოდნა.

გლობალიზაციის შედეგად ჩვენს საბუთებში შემოდის უცხოური ტერმინები, რომელთა ჩანაცვლება ქართული შესატყვისით თავისუფლად შეიძლება. ესენია: აპლიკანტი - განმცხადებელი, აპლიკაცია - განცხადება, კვოტა - დასაშვები რაოდენობა, ტრენინგი - წვრთნა, ბენდი-მუსიკალური ჯგუფი, ვორქშოპი - სამუშაო შეხვედრა, ინვოისი - აღრიცხვა-ანგარიშგება... საქმისწარმოების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, ტერმინებისა და მათი შესაბამისი თარგმანის ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოყენებაში მდგომარეობს. დაუშვებელია ერთი ტიპის საქმიანი საბუთების თარგმნისას სხვადასხვა ვარიაციები, რაც ასე უხვად გვხვდება დღეს ჩვენს პრაქტიკაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების თარგმნისას ხშირად მივმართავთ კალკირებას, ტრანსკრიფციას ან/და ტრანსლიტერაციას. არის შემთხვევები, როცა ახალშემოსული ტერმინი თარგმანში საჭიროებს ახსნა-განმარტებას.

### **3.4. დოკუმენტბრუნვის უნიფიცირება და ნათარგმნი დოკუმენტების ფუნქციონირების პრობლემები პოლიკულტურულ სამყაროში**



სახელმწიფოების ჩამოყალიბების, ადამიანებს შორის და ადამიანებსა და სახელმწიფოს შორის სხვადასხვა ურთიერთობათა რეგლამენტირებამ, ნორმების დადგენამ და ფიქსაციის აუცილებლობამ დამწერლობის გამოგონებას შეუწყო ხელი. ოფიციალური დოკუმენტებიც ამის საფუძველზე უნდა გაჩენილიყო.

ოფიციალური დოკუმენტების საინტერესო განმარტებას გვაძლევენ კუზნეცოვი, ლიხაჩოვი და სხვ: „ეს არის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ შექმნილი დოკუმენტი, რომელიც გაფორმებული და დამოწმებულია წესისამებრ. ის ადამიანის მიერ დროში და სივრცეში გადასაცემად შექმნილი ინფორმაციის შემცველი მატერიალური ობიექტია, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი: წერილობითი, გრაფიკული, ხმოვანი, ფოტოსურათის და ნახატის სახით. ინფორმაციის დაფიქსირება უზრუნველყოფს მის შენახვასა და შეგროვებას, სხვა პირზე გადაცემას, მრავალჯერად გამოყენებას, დროთა განმავლობაში ინფორმაციასთან დაბრუნებას....დოკუმენტი მმართველობით საქმიანობაში წარმოადგენს შრომის - საგანსაც და შედეგსაც“ (Т.В.Кузнецова, М.Т.Лихачов, А.А.Райхцаум, А.В.Соколов, 1991:5).

საქმიანი დოკუმენტები დიდ როლს თამაშობენ ადამიანის ცხოვრებაში. დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვცდილობთ ევროკავშირში გაწევრიანებას, ხოლო ევროპის მასშტაბით მიმდინარეობს ერთიანი უნიფიცირებული დოკუმენტების შექმნა და ამ სისტემაში ჩართვა, საქართველოც მიისწრაფის არ ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს და ფეხი აუწყოს ცვლილებებს. სტანდარტიზაცია და უნიფიცირება არსებული და დამკვიდრებული ტრაფარეტების, მყარი სამეტყველო ფორმულების, კანცელარიუმების (შტამპების, შაბლონების, სტანდარტული სინტაქსური მოდელების და ა.შ.) ფართო და ხშირ გამოყენებაში გამოიხატება, რაც კიდევ უფრო ამარტივებს და აიოლებს ტიპური საქმიანი ქაღალდების შედგენის პროცესს. კაზანცევი აღნიშნავს თავის ნაშრომში: „ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტი არ „იწერება“, ის იქმნება უკვე არსებული, მზა სიტყვებისა და სტერეოტიპული შესიტყვებებისაგან“ (Казанцев, 2002:19).

დღეისათვის სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნები არეგულირებენ უნიფიცირებული დოკუმენტების გაფორმების წესებს და ამ დოკუმენტებისათვის სავალდებულო რეკვიზიტების დადგენის პროცესს. რეკვიზიტები, ნებისმიერი დოკუმენტის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენენ და საბუთის კანონიერებაზე მიუთითებენ. მიუხედავად, უნიფიცირებული დოკუმენტების შედგენის ერთიანი წესების და სისტემის არსებობისა, მაინც გვხვდება მათი უგულებელყოფის შემთხვევები, რაც აისახება კიდევ დოკუმენტის შედგენაზე. კერძოდ, ის, რომ სხვადასხვა პერიოდში გაფორმებულ დოკუმენტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს უწყებების დოკუმენტებთან მომუშავე პერსონალის მიერ, გარკვეულწილად, სუბიექტური შეხედულებისამებრ არჩეული ხერხების გამოყენება.

ჩვენ ვაანალიზებთ ნათარგმნი დოკუმენტების ტექსტების ფუნქციონირების პრობლემებს პოლიკულტურულ სამყაროში. უნიფიცირებას მოითხოვს თანამედროვე ინტენსიური კულტურათმორისი კომუნიკაცია, გლობალიზაციის პირობები. უნიფიცირება კი ნიშნავს ფორმის მოყვანას ერთ სისტემაში, სადაც თარგმნის პრინციპი, მიდგომა და წესიც უნდა იყოს მსგავსი და ერთნაირი. თარგმანი ხომ ტექსტის არამარტო ერთი ენიდან მეორეზე გადაფორმება, არამედ კულტურათა შეხვედრაც არის. ამიტომაც, უნიფიცირებული დოკუმენტების თარგმნისას ლინგვისტური განსხვავებების გარდა, გასათვალისწინებელია კულტურული განსხვავებებიც, რაც გამოიხატება თარიღის, მისამართის, აბზაცის, მიმართვის, სახელის და გვარის გაფორმებაშიც კი. ინგლისურ ენაში დამკვიდრებულია სახელისა და გვარის, მკაცრად ფიქსირებული რიგი: ჯერ სახელი, შემდეგ გვარი, ჩინურ ენაში - ჯერ გვარი, შემდეგ სახელი (ტერ-მინასოვა, 2017:91-97). რუსულ დოკუმენტებში ეს რიგი მკაცრად იყო განსაზღვრული, სიტყვათშეთანხმება *ф.и.о.* ამის დასტურია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენისათვის ნიშანდობლივია ჯერ სახელის, შემდეგ კი გვარის დაფიქსირება, რუსული კულტურის გავლენით ქართულშიც ჯერ გვარი იწერებოდა საბუთებში, შემდეგ სახელი. რუსულის გავლენა დღემდე შეინიშნება ქართულ საბუთებში. განსხვავება გვაქვს თარიღის აღნიშვნისას. ინგლისურ

დოკუმენტებში მიღებული რიგია: თვე, რიცხვი, წელი; ქართულ და რუსულ საბუთებში კი - რიცხვი, თვე და წელი. საფოსტო კონვერტზეც ადრესატის რეკვიზიტების გაფორმებისას განსხვავებებს ვაწყდებით. ამ განსხვავებების გათვალისწინებით უკვე ევროპული ტრადიციით ფორმდება აღნიშნული რეკვიზიტები.

## დასკვნა

XXI საუკუნემ, ინტენსიური ინფორმაციული ურთიერთობის პირობებში, უნიფიცირებული ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების რაოდენობის გაზრდა და მათი თარგმნა მოითხოვა. დღეს უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე და ინგლისური ენიდან თარგმანს, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენს საქმისწარმოებაში ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმნის პრობლემები. მიუხედავად პოლიტიკური სიტუაციისა, ცხოვრებისეული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაინც დგას დღის წესრიგში რუსული ენიდან თარგმნის საკითხი. დღესაც ვსაჭიროებთ სხვადასხვა რუსულენოვანი დოკუმენტის ქართულ ენაზე და პირიქით, ქართულენოვანის - რუსულ ენაზე თარგმანს. იქიდან გამომდინარე, რომ ნაკლები ყურადღება ენიჭება რუსული ენის სწავლებასა და თარგმანს, შედეგმაც არ დააყოვნა და ვღებულობთ უხარისხოდ ნათარგმნ საბუთებს. სწორედ ქართულ ენაზე მათი ადეკვატური, ეკვივალენტი და ავთენტური თარგმანის საჭიროებამ განსაზღვრა მოცემული საკითხის შესწავლა.

ოფიციალურ-საქმიანი საბუთების თარგმნის ანალიზმა ცხადჰყო, რომ საქმიანი საბუთები მთარგმნელობით სფეროში თარგმნის თვალსაზრისით წარმოადგენენ განსაკუთრებულ დისკურსს, ვინაიდან მთარგმნელობითი ზოგადი პრობლემების გარდა, აქ თავს იჩენს ამ დისკურსისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები, როგორც თავისებური ტერმინოლოგია, კლიშირებული კონსტრუქციები/კანცელარიზმები. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმანის განსაკუთრებული მოთხოვნაა ფორმისა და შინაარსის შენარჩუნება, მკაცრი წესების

დაცვა და მზა, სტანდარტული ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება. მთარგმნელი უნდა იცნობდეს საქმიანი დოკუმენტის თავისებურებებს და ფლობდეს საქმიანი საბუთების შედგენის უნარ-ჩვევებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტებისათვის დამახასიათებელია ენობრივი და ლექსიკური სიმშრალე, ერთფეროვნება, სტანდარტულობა, მყარი სიტყვათშეთანხმებების, კანცელარიზმების გამოყენება, მაინც საკმაოდ საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს მიერ შესწავლილი საბუთები, რომლებიც ბსუ-ს კანცელარიაში, არქივში და ადამიანური რესურსების სამსახურშია დაცული. ისინი 1947 წლიდან დღემდე პერიოდის დოკუმენტებს მოიცავენ და ასახულია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს პერიოდები. დამოუკიდებელი საქართველოს საქმისწარმოებაში ენისა და ფორმის გამოყენების მიხედვით, შეგვიძლია დამატებით, გამოვყოთ ორი ეტაპი: პირველი, საკმაოდ მოკლევადიანი აღმოჩნდა, მოიცავს 1994-1998 წწ. და ხასიათდება მხოლოდ ქართულ ენაზე შედგენილი საბუთებით (დიპლომი, ატესტატი და სხვ.). მეორე კი - 1999 წლიდან დღემდე გრძელდება, ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია ქართულ-ინგლისურ ენაზე შედგენილი საბუთები (დიპლომი, ატესტატი და სხვ.).

საქმიანი დოკუმენტის წამყვანი ნიშანი კანცელარიზმების - კლიშეს, შტამპის, ტერმინოლოგიის, აბრევიატურის არსებობაა. მათ ახასიათებთ კონსერვატულობა და რთული სინტაქსი, რომლებიც ორიენტირებული არიან ფორმულირების სიზუსტეზე და ერთმნიშვნელობიანობაზე. საქმიან მეტყველებაში მათთვის დამახასიათებელია სტანდარტიზაციის მაღალი დონე, რაც შემთხვევითი არ არის. საქმიანი ურთიერთობები ტიპურ სიტუაციაში ვითარდება, სადაც ტერმინისა და კანცელარიზმის არსებობა არამარტო გამართლებული, არამედ აუცილებელიცაა. ისინი გამოიყენებიან პირდაპირი და ზუსტი მნიშვნელობით, რათა გამორიცხულ იქნას აზრის ორმაგი გაგება. ადამიანები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება უწევთ, არ უნდა იხარჯებოდნენ და არ უნდა კარგავდნენ დროს ამა თუ იმ აზრის ფორმულირების, მყარი შესატყვისების, სპეციალური

კანცელარიული ტერმინების და სქემების ძეგნის გამო. სამწუხაროდ, ჯერაც არ არის სრულად შესწავლილი და მიმდინარეობს კვლევები ქართული ოფიციალურ-საქმიანი სტილის, საქმიანი მეტყველებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების, მათი გამოყენებისა და თარგმნის ხერხების შესწავლის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევა სწორედ ამ თემას ეხება. კერძოდ, ოფიციალურ-საქმიანი საბუთების ლექსიკის, კანცელარიზმების გამოკვლევასა და მათი გადმოცემის ხერხების შესწავლას (განსხვავებები, თავისებურებები).

კანცელარიზმების თარგმნისას ვხელმძღვანელობთ და ვიყენებთ მათ მზა, მყარ შესატყვისებს, ერთმნიშვნელობიან ეკვივალენტებს, რომლებიც დამკვიდრებული და ფიქსირებულია სამიზნე ენაში. მთარგმნელის სურვილისამებრ არ უნდა შეიცვალოს სამიზნე ენაში უკვე დამკვიდრებული ეკვივალენტი. აგრეთვე შენარჩუნებული უნდა იქნას ინფორმაციის გადმოცემისა და გაგებისათვის აუცილებელი ელემენტები: სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც ინარჩუნებს საქმიანი დოკუმენტის მოთხოვნებს. მთარგმნელის ფონურ ცოდნაზეა დამოკიდებული ეკვივალენტობის მიღწევა, თუ რამდენად ფლობს ის მოცემული სიტუაციისათვის მიღებულ ფიქსირებულ კანცელარიზმს მიმღებ ენაში. რაც შეეხება საბუთებში მოძიებულ აბრევიატურებსა და სიტყვათშემოკლებებს, ისინი ძირითადად რუსული აბრევიატურებისა და სიტყვათშემოკლებების კალკას წარმოადგენენ. თარგმანში გვხვდება მათი გაშიფრული, სრულად გადმოცემის ვარიანტები. მიმღებ ენაში აბრევიატურების აღიარებული შესატყვისების არ არსებობისას, საჭიროა მათი სრული გაშლა ან/და შემოკლებული სიტყვის მნიშვნელობის განმარტება, რაც საკმაოდ შრომატევადია და გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მაშინ, როცა არც ერთ ლექსიკონში არ ფიქსირდება მათი მნიშვნელობა. კლიშეს, შაბლონის, შტამპის, სიტყვათშემოკლებებისა და აბრევიატურის თარგმნისას ხშირად მივმართავთ ტრანსფორმაციის ისეთ ხერხებს, როგორცაა კალკირება, ტრანსკრიფცია ან/და ტრანსლიტერაცია.

ოფიციალურ-საქმიანი საბუთების წყარო ენის ტერმინოლოგია უნდა შეიცვალოს და ითარგმნოს სამიზნე ენაში ოფიციალურად, საყოველთაოდ აღიარებული, დამტკიცებული ტერმინოლოგიის შესაბამისი შესატყვისით. ნეოლოგიზმების შემთხვევაში დასაშვებია, განმარტებები. რთულია ტერმინების გადმოტანა, თუ რა თქმა უნდა, საერთაშორისოდ აღიარებულ ან/და შეთანხმებულ ტერმინებთან ან კიდევ ასევე საყოველთაოდ აღიარებულ ლათინური წარმოშობის სიტყვებთან არ გვაქვს საქმე. მიღებულია ლათინური წარმოშობის სიტყვების მიმღებ ენაში, ლათინური დასახელებით ჩანაცვლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების თარგმნისას ხშირად მივმართავთ სხვადასხვა მთარგმნელობით გრამატიკულ ტრანსფორმაციებს. საქმიანი ტექსტები და ტიპური ინფორმაცია უნდა ითარგმნოს ერთხელ და სამუდამად დადგენილი წესით. როგორც ვიცით, ამ ტექსტების წყაროც და მიმღებიც ადმინისტრაციული ორგანოებია, რომლებსაც სჭირდებათ ეს დოკუმენტები მათი უფლებამოსილების დასადასტურებლად და რეგლამენტირებისათვის. თარგმნისას დოკუმენტებისათვის იურიდიული და კანონიერი ძალის შესანარჩუნებლად აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ავთენტური თარგმანი. ამ საბუთებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ ბრძანება, ხელშეკრულება, დადგენილება, გადაწყვეტილება, რომელთაც ახასიათებთ ლოგიკურობა, სიცხადე, სიზუსტე, იურიდიული და კანონიერი ძალა. განცხადების, ცნობის, წერილის, მოხსენებითი ბარათის, ავტობიოგრაფიის, დახასიათების და სხვა ზოგიერთი პირადი შემადგენლობის დოკუმენტის თარგმნისას საკმარისია ადეკვატურობის მაღალი დონის მიღწევა, რაც ფორმის და შინაარსის შენარჩუნებას გულისხმობს.

ქართული და რუსული საქმიანი საბუთების ისტორიული განვითარების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ საქმიანმა დოკუმენტებმა განვლეს ფორმირების საკმაოდ ხანგრძლივი და მსგავსი გზა. რუსულ-ქართულ თარგმნილ დოკუმენტებში განსხვავება განპირობებულია ძირითადად ენობრივი სისტემების განსხვავებული შესაძლებლობებით (განსხვავებები სქესში, ბრუნვაში, რიცხვში,

